

2018 წლის 25 ივნისის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #33

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე, ციციხო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე; დისტანციურ რეჟიმში ჩაერთვნენ მარიამ კუბლაშვილი და ირაკლი ყანდაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: გუგა აბდუშელიშვილი, ია ფიროსმანაშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ნინო ფაფიაშვილი, თეკლე მურღულია, თამარ მუმლაძე, მიხეილი გოგეშვილი, არჩილი ამაღლობელი, დიმიტრი სამნიაშვილი, ნინო ლეკიაშვილი, თეა ჯანგიანი, გოგა ლომინაძე, ანა სრესელი, ეკატერინე გურული, გიორგი სუხიტაშვილი, არჩილ გორდულაძე, თეონა თაყაიშვილი,

თეა კასრაძე, მაგული ქამადაძე, თამარ ჩილინგარაშვილი, ნინო გომბხეთელიანი, ნათია ჯანელიძე, თამარი ცერცვაძე, თემურ საბელაშვილი, ნათია ჩუბინიძე, თინათინ ჭაკნელიძე, თემური ფხაკაძე, ალექსი სირბილაშვილი, არტურ ვართაპეტაიანი, ელენე რამიშვილი, ზაზა კოშკაძე, ამზა კაკაურიძე, შალვა ნიკვაშვილი, ლაშა საათაშვილი, გიორგი ლომიძე, სალომე სურგულაძე, მეჩერების მოთხოვნით: ერეკლე ბენაშვილი, სალომე წურწუშია

2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: ქეთევან გაჩეჩილაძე, დავით ბენიძე
3. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საკითხი
4. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად, ახალი საშტატო და სახელფასო ნუსხის დამტკიცება
5. ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა
6. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: მაია ელიზბარაშვილი, ნანა ოდიკაძე, ქეთევან გურგენიშვილი, მაგდა მარღანია, თეა მელუა, სოფიო ჭარელი, გურამ ხიზანაშვილი, მარიამ მაჭარაშვილი, გიორგი ცეცხლაძე, მადონა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, თინათინ პაპავაძე, გიორგი ცისკაძე, დავით ჭკადუა; 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ლია ცინცაბაძე, თეიმურაზ ბურჭულაძე, ომარ ჯორბენაძე, ეკატერინე კვარაცხელია, ქეთინო აბულაშვილი, სვეტლანა კლოიანი, ნინო დონჯაშვილი, გიორგი გულბანი
7. 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა
8. ანრი სინაურიძის განცხადება 2018 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების შედეგების გასაჩივრების საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე (თანდართულია 2017 წლის 09 ოქტომბრის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან)

9. შპს “სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის” განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 2 (ორი) ტრენინგ მოდულზე (მომხსენებელი გიორგი ჭეხანი)
10. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 6 (ექვსი) ტრენინგ მოდულზე (მომხსენებელი გიორგი ჭეხანი)
11. ექსპერტთა ჯგუფისთვის (სამოქალაქო სამართლის მატერიალურ საკითხებში) ერთი ექსპერტის დამატების საკითხი (მომხსენებელი გიორგი ჭეხანი)
12. ტრენინგების საფასურის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის დადგენა (მომხსენებელი გიორგი ჭეხანი)
13. პროფესიაში შესვლის რეგულაციებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება (მომხსენებელი გიორგი ჭეხანი)
14. ასოციაციის კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა (მომხსენებელი თამარ ხოხობაშვილი)
15. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატების (თამთა აშორტია, მალხაზ ჭანკოტაძე) განხილვა
16. სხვადასხვა

საკითხი #1:

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: გუგა აბდუშელიშვილი, ია ფიროსმანაშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ნინო ფაფიაშვილი, დიტრი სამნიაშვილი, ნინო ლეკიაშვილი, თეა ჯანგიანი, გოგა ლომინაძე, ანა სრესელი, ეკატერინე გურული, გიორგი სუხიტაშვილი, არჩილ გორდულაძე, თეონა თაყაიშვილი, თეა კასრაძე, მაგული ქამადაძე, თამარ ჩილინგარაშვილი, ნინო გომხეთელიანი, ნათია ჯანელიძე, თამარი ცერცვაძე, თემურ საბელაშვილი, ნათია ჩუბინიძე, თინათინ ჭაკნელიძე, თემური

ფხაკაძე, ალექსი სირბილაშვილი, არტურ ვართაპეტიანი, ელენე რამიშვილი, ზაზა კომკაძე, ამზა კაკაურიძე, შალვა ნიკვაშვილი, ლაშა საათაშვილი, გიორგი ლომიძე, სალომე სურგულაძე, დიანა გიორგაძე, ბენაშვილი, სალომე წურწუშია.

წევრები გაეცნენ:

ა) თინათინ ჭაკნელიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე, რომელსაც თან ერთვის განცხადება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატის მოთხოვნის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმად თინათინ ჭაკნელიძის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 2, 3, 10, 16 და 17 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 07 თებერვლის #2 ოქმის ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. ჭაკნელიძის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #61 ტესტში ქულის მომატების შესახებ. ამავე განჩინებით ასოციაციას დაევალი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თ. ჭაკნელიძისათვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #61-ე ტესტში 1 ქულის მომატების თაობაზე.

ადმინისტრაციული საბჭოს წევრმა მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ასოციაციის მაღალი პრესტიჟის და იმიჯის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მსგავსი შემთხვევების დროს გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს. იგი თვლის, რომ მოსამართლის კომპეტენცია არ არის ქულის მომატება, არამედ აღნიშნული ქმედებით იკვეთება ასოციაციის კომპეტენციაში ჩარევის მცდელობა, რაც სახიფათო ტენდენციაა. შესაბამისად, იგი არ უჭერს მხარს სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული სერტიფიკატით თინათინ ჭაკნელიძის ასოციაციაში გაწევრიანებას.

მამუკა ნოზაძის პოზიცია გაიზიარა ადმინისტრაციული საბჭოს წევრმა ზურაბ როსტიაშვილმა.

თინათინ ჭაკნელიძისათვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #61-ე ტესტში ერთი ქულის მომატებისა და მისი ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საკითხი

დადგა ღია კენჭიყრაზე. კენჭისყრის შედეგად (მომხრე 9 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, ციციხო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი; წინააღმდეგი - 2: მამუკა ნოზაძე, ზურაბ როსტიაშვილი), მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.05.2018 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, თინათინ ჭაკნელიძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #61-ე ტესტში ერთი ქულის მომატება მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაკმაყოფილდეს მისი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

ბ) დიანა გიორგაძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დიანა გიორგაძემ განცხადებით მომართა ასოციაციას მიმდინარე წლის 30 მაისს. მის მიერ წარმოდგენილი იყო სერტიფიკატი, რომლის თანახმად ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 2008 წლის 21 მაისს.

წევრებმა აღნიშნეს, რომ 2018 წლის 04 მაისს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად: „ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას.“ ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 მუხლის, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ „მის მიერ ადვოკატთა, მოსამართლეთა ან/და პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი აღნიშნული ცვლილებები გამოქვეყნდა 2018 წლის 21 მაისს. შესაბამისად, დიანა გიორგაძის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი ვადა ამოიწურა 2018 წლის 21 მაისს, ხოლო ადვოკატთა ასოციაციაში დიანა გიორგაძის განცხადება გაწევრიანების შესახებ (თარიღი: 28.06.2018) დარეგისტრირდა მიმდინარე 30 მაისს, რა დროსაც სერტიფიკატი აღარ იყო ვალიდური.

დიანა გიორგაძის ასოციაციაში გაწევრიანების საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად (წინააღმდეგი -11, მომხრე - 0), ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21-ე მუხლის მე-3 მუხლის, “ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დიანა გიორგაძეს უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების თაობაზე.

განმცხადებლების (გუგა აბდუშელიშვილი, ია ფიროსმანაშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ნინო ფაფიაშვილი, თეკლე მურღულია, თამარ მუმლაძე, მიხეილი გოგეშვილი, არჩილი ამალლობელი, დიმიტრი სამნიაშვილი, ნინო ლეკიაშვილი, თეა ჯანგიანი, გოგა ლომინაძე, ანა სრესელი, ეკატერინე გურული, გიორგი სუხიტაშვილი, არჩილ გორდულაძე, თეონა თაყაიშვილი, თეა კასრაძე, მაგული ქამადაძე, თამარ ჩილინგარაშვილი, ნინო გომბეთელიანი, ნათია ჯანელიძე, თამარი ცერცვაძე, თემურ საბელაშვილი, ნათია ჩუბინიძე, თემური ფხაკაძე, ალექსი სირბილაშვილი, არტურ ვართაპეტაიანი, ელენე რამიშვილი, ზაზა კომკაძე, ამზა კაკაურიძე, შალვა ნიკვაშვილი, ლაშა საათაშვილი, გიორგი ლომიძე, სალომე სურგულაძე, ერეკლე ბენაშვილი, სალომე წურწუმიას) ასოციაციაში გაწევრიანების საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა ერთხმად მიიღეს:

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები გაწევრიანების შესახებ: გუგა აბდუშელიშვილი, ია ფიროსმანაშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ნინო ფაფიაშვილი, თეკლე მურღულია, თამარ მუმლაძე, მიხეილი გოგეშვილი, არჩილი ამალლობელი, დიმიტრი სამნიაშვილი, ნინო ლეკიაშვილი, თეა ჯანგიანი, გოგა ლომინაძე, ანა სრესელი, ეკატერინე გურული, გიორგი სუხიტაშვილი, არჩილ გორდულაძე, თეონა თაყაიშვილი, თეა კასრაძე, მაგული ქამადაძე, თამარ ჩილინგარაშვილი, ნინო გომბეთელიანი, ნათია ჯანელიძე, თამარი ცერცვაძე, თემურ საბელაშვილი, ნათია ჩუბინიძე, თემური ფხაკაძე, ალექსი სირბილაშვილი, არტურ ვართაპეტაიანი, ელენე რამიშვილი, ზაზა კომკაძე, ამზა კაკაურიძე, შალვა ნიკვაშვილი, ლაშა საათაშვილი, გიორგი ლომიძე, სალომე სურგულაძე, ერეკლე ბენაშვილი, სალომე წურწუმიას.

ასევე, “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ერეკლე ბენაშვილს და სალომე წურწუმიას შეუჩერდეთ წევრობა.

საკითხი #2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველთა განცხადებებს: **ქეთევან გაჩეჩილაძე, დავით ბენიძე.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ქეთევან გაჩეჩილაძის და დავით ბენიძის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი #3:

ასოციაციის აღსრულებელმა მდივანმა წარმოადგინა ინფორმაცია ასოციაციის აპარატში დაგეგმილი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ; კერძოდ, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - გია ტაბლიაშვილის 2018 წლის 21 ივნისის მიმართვიდან ირკვევა, რომ ეთიკის კომისიისადმი საჩივრებით მომართვიანობამ მკვეთრად იმატა, კერძოდ, მიმდინარე წელს შემოსულ საჩივართა რაოდენობა შეადგენს 80-ს, მაშინ როცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ეს რიცხვი შეადგენდა - 49-ს, ხოლო მთლიანად კომისიის განხილვაშია 153 საქმე, რაც წამოშობს ეთიკის კომისიის აპარატში შტატების გაზრდისა და ეთიკის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და მმართველობითი პროცესების კოორდინაციის გაუმჯობესების საჭიროებას. აღნიშნულს ემატება ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ორ ნახევარგანაკვეთიან შტატზე დასაქმებულმა პირებმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს დაკავებული პოზიცია.

შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ნახევარგანაკვეთიანი ორი შტატი ხდება ვაკანტური, მიზანშეწონილია აღნიშნული ორი შტატი გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი სრულგანაკვეთიანი - ეთიკის

კომისიის აპარატის იურისტის სამტატო ერთეული. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ცვლილება გამოასწორებს სტრუქტურულად დაუსაბუთებელ ორი სამტატო ერთეულის არსებობის პრობლემას, ამასთან უზრუნველყოფს, რომ ახალ სამტატო ერთეულზე დასაქმებული პირი უფრო ინტენსიურად და სრულყოფილად იყოს ჩართული პოზიციით გათვალისწინებულ საქმიანობაში.

ასევე, ეთიკის კომისიის აპარატის იურისტების საქმიანობის ეფექტიანობის და ეფექტურობის ზრდის მიზნით, საჭიროა აღნიშნული საქმიანობის მეტად ორგანიზება და კოორდინაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ეთიკის კომისიის აპარატის იურისტების საქმიანობას მიეცეს კოორდინირებული ხასიათი, კერძოდ კი, ასოციაციის აპარატში ჩამოყალიბდეს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეული, რომელზე დასაქმებული პირიც განახორციელებს როგორც ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ფუნქციებს, ასევე სწორ ორგანიზებას და კოორდინაციას გაუწევს იურისტების მუშაობასა და საქმეთა ეფექტიან წარმოებას.

წევრებმა ასევე მოისმინეს ინფორმაცია ასოციაციის ჟურნალთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ისეთი საკომუნიკაციო მექანიზმი, როგორცაა პროფესიული ჟურნალი, ასოციაციათა დიდ უმრავლესობაში წარმოადგენს ქმედით და ეფექტურ საშუალებას როგორც წევრებთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევაც იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შეინარჩუნოს ჟურნალი თავის ერთ-ერთ საკომუნიკაციო საშუალებად, მაგრამ იმისთვის რომ ასოციაციის ჟურნალი ეფექტიანად ემსახუროს თავის მიზანს, საჭიროა ჟურნალის კონცეფციის მნიშვნელოვნად დახვეწა და მისი გამოცემის რეგულალურობისა და შინაარსის ხარისხის უზრუნველყოფა. ყოველივე ამის მისაღწევად, საჭიროა ასოციაციის აპარატში არსებობდეს შესაბამისი სამტატო ერთეული, რომელზე დასაქმებული პირიც აღმასრულებელ საბჭოსთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ჟურნალის მიზნობრიობის უზრუნველყოფას და მხოლოდ ამ ფუნქციით იქნება დაკავებული. შესაბამისად, შემოთავაზებულია ასოციაციის აპარატში ჟურნალის რედაქტორის ცალკე სამტატო ერთეულის შექმნა.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის საქმიანობის დამხმარე პროცესების მეტად ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაცია - ქვეშ

გაერთიანდეს შემდეგი საშტატო ერთეულების ფუნქციონირება: აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი; კომიტეტების კოორდინატორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; ჟურნალის რედაქტორი; მდივან-რეფერენტი; ბუღალტერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი; ლოჯისტიკის მენეჯერი; კურიერი; რეგიონალური ოფისის მენეჯერი (3); დამლაგებელი (3); სტაჟიორი, რომელთაც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს ადმინისტრაციის უფროსი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და გაცნენ წარმოდგენილ პროექტს ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი ცვლილებების ის ნაწილი, რომელიც ეხება ეთიკის კომისიის იურისტის ერთი სრულგანაკვეთიანი შტატის შექმნას, ჟურნალის რედაქტორის საშტატო ერთეულის შექმნასა და შემდეგი საშტატო ერთეულების სტრუქტურულ ერთეულ - ადმინისტრაცია - ქვეშ გაერთიანებას: აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი; კომიტეტების კოორდინატორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; რედაქტორი; მდივან-რეფერენტი; ბუღალტერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი; ლოჯისტიკის მენეჯერი; კურიერი; რეგიონალური ოფისის მენეჯერი (3); დამლაგებელი (3); სტაჟიორი.

აღმასრულებელი საბჭოს წევრების - ციციხო ცხვედიანის, დათუნა მოდებამისა და ნათია კორკოტამის მხრიდან გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები ეთიკის კომისიის უფროსის საშტატო ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა ეთიკის კომისიის უფროსის საშტატო ერთეულის კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები. ამ საკითხზე გამართული დისკუსიის შემდეგ, თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის შექმნის საკითხის განხილვის გადატანა შემდეგ სხდომაზე, რათა მანამდე დაზუსტდეს და უფრო დეტალურად იქნეს განსაზღვრული აღნიშნული საშტატო ერთეულის შემოღების აუცილებლობა და მისი ფუნქცია-მოვალეობები. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა სრულად გაიზიარეს თავმჯდომარის წინადადება საკითხის გადადების თაობაზე.

თავმჯდომარემ ღია კენჭიყრაზე დააყენა საკითხი ეთიკის კომისიის ერთი სრულგანაკვეთიანი შტატისა და ჟურნალის რედაქტორის შტატის, ასევე რიგი საშტატო ერთეულების ადმინისტრაციაში გაერთიანების დამტკიცების თაობაზე. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 11, წინააღმდეგი -0) ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ასოციაციის საშტატო განრიგში დამტკიცდეს ეთიკის კომისიის აპარატის სრულგანაკვეთიანი შტატი, ჟურნალის რედაქტორის შტატი და შემდეგი საშტატო ერთეულები გაერთიანდეს სტრუქტურულ ერთეულ - ადმინისტრაციის ქვეშ: აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორი; კომიტეტების კოორდინატორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; რედაქტორი; მდივან-რეფერენტი; ბუღალტერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი; ლოჯისტიკის მენეჯერი; კურიერი; რეგიონალური ოფისის მენეჯერი (3); დამლაგებელი (3); სტაჟიორი.

თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის შტატის შექმნის თაობაზე საკითხის გადადების შესახებ. ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 11, წინააღმდეგი -0) ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: გადაიდოს საკითხის განხილვა და შემდეგი სხდომისთვის წარმოდგენილ იქნას ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობა.

საკითხი #4:

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად დამტკიცებული ახალი საშტატო ერთეულებისთვის დადგინდეს შემდეგი სახელფასო სარგოები, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით: ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი: 1300.00 ლარი (დარიცხული); ჟურნალის რედაქტორი: 1500.00 ლარი (დარიცხული).

ამასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის არსებული სახელფასო სარგო 1450.00 ლარი გაიზარდოს 50.00 ლარით და გახდეს 1500.00 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

გადაწყვეტილება: ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ახალი საშტატო ერთეულებისთვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის საშტატო ერთეულისთვის დადგინდეს სახელფასო სარგოები წარმოდგენილი სახით. შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის აპარატის სახელფასო ფონდში.

საკითხი #5:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ფარგლებში, 23 ადვოკატს გაეწია ფინანსური დახმარება სამედიცინო საჭიროებებისათვის. ამ ეტაპზე, ამოწურულია ააიპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტი და ფონდის მიზნების გათვალისწინებით, საჭიროა ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ფონდის ბიუჯეტის 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით გაზრდის მიზნით. ასევე, ამოწურულია ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტი, რომლის გაზრდა აუცილებელია ასოციაციის აპარატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ამდენად, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და საკანცელარიო ხარჯის ნაწილის გაზრდა 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: შევიდეს შემდეგი ცვლილებები ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში:

ა) ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიზნებისათვის ასოციაციის ბიუჯეტი გაიზარდოს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;

ბ) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯის ბიუჯეტი გაიზარდოს 6 500 (ექვსიათას ხუთასი) ლარით.

საკითხი #6:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ: მაია ელიზბარაშვილი, ნანა ოდიკაძე, ქეთევან გურგენიშვილი, მაგდა მარდანი, თეა მელუა, სოფიო ჭარელი, გურამ ხიზანაშვილი, მარიამ მაჭარაშვილი, გიორგი ცეცხლაძე, მადონა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, თინათინ პაპავაძე, გიორგი ცისკაძე, სვეტლანა კლოიანი, დავით ჭკადუა, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ლია ცინცაბაძე,

თეიმურაზ ბურჭულაძე, ომარ ჯორბენაძე, ეკატერინე კვარაცხელია, ქეთინო აბულაშვილი, ნინო დონჯაშვილი, გიორგი გულბანი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

„საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: მაია ელიზბარაშვილი, ნანა ოდიკაძე, ქეთევან

გურგენიშვილი, მაგდა მარღანია, თეა მეღუა, სოფიო ჭარელი, გურამ ხიზანაშვილი, მარიამ მაჭარაშვილი, გიორგი ცეცხლაძე, მადონა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, თინათინ პაპავაძე, გიორგი ცისკაძე, სვეტლანა კლოიანი, დავით ჭკადუა; ამასთან, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს (ლია ცინცაბაძე, თეიმურაზ ბურჭულაძე, ომარ ჯორბენაძე, ეკატერინე კვარაცხელია, ქეთინო აბულაშვილი, ნინო დონჯაშვილი, გიორგი გულბანი) წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი #7:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ: ტრისტან ლომიძე, ედვარდ ადგომელაშვილი, ლაშა გოგინაშვილი, თამარ მეზონია, ავთანდილ გიორგაძე, ზაზა ზარანდია, ზაური ზარანდია, ირმა ცერცვაძე, თამარ ბერძნიშვილი, შაქრო პაპიძე, მანანა ბოგვერაძე, პაატა მკერვალიშვილი, რეზო ნიჟარაძე, მანანა ცარციძე, მარიამ სანებლიძე, ნონა ასლანიშვილი, ანა თორდია, დავით იასალაშვილი, ზურაბ იმერლიშვილი, მთვარისა კველიშვილი, მორთულა ბუთურიშვილი, ტარიელ ლილუაშვილი, კახაბერ ჩუბინიძე, ნანა ბიბილური, ნინო დოლაბერიძე, ნინო მერებაშვილი, შალვა ერისთავი, მაია გულიაშვილი, თინათინ პაპავაძე, ქეთევან ნადაშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა აღნიშნული განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; ასევე, გასულ სხდომაზე დაკმაყოფილდა ყველა მსგავსი განცხადება, საბჭო თვლის, რომ წევრთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებებში მითითებული მოთხოვნების მიხედვით, თუმცა აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იქვე დასძინეს, როგორც მ/წლის 29 მაისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა და აუცილებლად შემუშავდება საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში განიხილება ასეთი განცხადებები.

ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე: 11, წინააღმდეგი-0) მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (ტრისტან ლომიძე, ედვარდ ალდგომელაშვილი, ლაშა გოგინაშვილი, თამარ მეზონია, ავთანდილ გიორგაძე, ზაზა ზარანდია, ზაური ზარანდია, ირმა ცერცვაძე, თამარ ბერძნიშვილი, შაქრო პაპიძე, მანანა ბოგვერაძე, პაატა მკერვალიშვილი, რეზო ნიჟარაძე, მანანა ცარციძე, მარიამ სანებლიძე, ნონა ასლანიშვილი, ანა თორდია, დავით იასალაშვილი, ზურაბ იმერლიშვილი, მთვარისა კველიშვილი, მორთულა ბუთურიშვილი, ტარიელ ლილუაშვილი, კახაბერ ჩუბინიძე, ნანა ბიბილური, ნინო დოლაბერიძე, ნინო მერებაშვილი, შალვა ერისთავი, მათა გულიაშვილი, თინათინ პაპავაძე, ქეთევან ნადაშვილი) მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განცხადებლებს.

საკითხი #8:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო მოქალაქე ანრი სინაურიძის განცხადება, რომელიც ითხოვდა 2018 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების შედეგების გასაჩივრების საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას. თანდართული იყო 2017 წლის 09 ოქტომბრის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მოქალაქე ანრი სინაურიძის განცხადება 2018 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების შედეგების გასაჩივრების საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი #9, #10

აღმასრულებელმა მდივანმა გიორგი ჭეხანმა წევრებს გააცნო ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს მიერ რეკომენდირებული: (1) შპს “სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი” განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 2 ტრენინგ მოდულზე: საკორპორაციო სამართლის კურსი და სამედიცინო დავების განხილვის პრაქტიკულ-სამართლებრივი ასპექტები და (2) სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადება 6 ტრენინგ მოდულზე: სამშენებლო სამართალი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობის გამიჯვნა სამოქალაქო დავებისგან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და თავისებურებები, სარჩელის უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, შრომის სამართალი, სანივთო სამართალი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, ციცილო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, წინააღმდეგი 4: მამუკა ნოზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი), მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს შპს “სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი”-ს განცხადება წარმოდგენილ 2 ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

ბ) დაკმაყოფილდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადება 6 ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი #11:

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა სასწავლო ცენტრის რეკომენდაცია აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული გამოცდის ტესტის დროულად გასწორების უზრუნველყოფის მიზნით, სამოქალაქო სამართლის მატერიალურ ნაწილში ერთი ექსპერტის დამატების შესახებ და წარადგინა შესაბამისი კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7- დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, წინააღმდეგი 4: მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე, ციციხო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი), მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი კანდიდატურა სამოქალაქო სამართლის მატერიალურ ნაწილში ექსპერტის სახით.

საკითხი #12.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-3 მუხლს დაემატა 2.3 პუნქტი, რომლის თანახმად, საანგარიშო პერიოდში (მიმდინარე წლის 01 იანვრიდან 20 დეკემბრამდე) უფასო საგანმანათლებლო ღონისძიებაზე რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ სამჯერ. ამის შემდეგ, ყოველ მომდევნო საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრება ფასიანია. ტრენინგის ფასი განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ ტრენინგების საფასურის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ზღვარი განისაზღვროს 50 ლარიდან 150 ლარამდე, ტრენინგების შინაარსის, ხანგრძლივობის და სხვა დეტალების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 9: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, ციციხო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, წინააღმდეგი 2: მამუკა ნოზაძე, ზურაბ როსტიაშვილი) მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-3 მუხლის, 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ ყოველ მომდევნო საგანმანათლებლო ღონისძიებაზე დასწრების საფასური განისაზღვროს 50-150 ლარის ფარგლებში.

საკითხი #13

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2019 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ შეტანილი ცვლილებები პროფესიული ადაპტაციის პროგრამასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, საჭიროა შეიქმნას პროფესიაში შესვლის რეგულაციებზე სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა და კომპლექტებული იქნება ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრებით და შემადგენლობაში იქნებიან ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, სასწავლო ცენტრის დირექტორი და ადმინისტრაციის უფროსი.

აღნიშნულ ჯგუფში მუშაობის სურვილი გამოთქვა წევრმა მამუკა ნოზაძემ. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს პროფესიაში შესვლის რეგულაციების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით - საგანმანათლებლო საბჭოს წევრები: ირაკლი ყანდაშვილი, მარინე ნიქაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, ლაშა კალანდაძე, ვახტანგ მჭედლიშვილი, ირაკლი ბურდული; აღმასრულებელი საბჭოს წევრი მამუკა ნოზაძე; აღმასრულებელი მდივანი გიორგი ჭეხანი სასწავლო ცენტრის დირექტორი ქეთევან თურაზაშვილი და ადმინისტრაციის უფროსი - სალომე ტყეშელაშვილი.

საკითხი#14

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის კომიტეტების შემადგენლობაში წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:

- ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტის მოწვეულ წევრად წარმოდგენილია გაიოზ ჩარკვიანის კანდიდატურა;
- ვალერიან დოლიძის პირადი განცხადება ჩამოთვლილ კომიტეტთაგან ერთ-ერთში გაწევრიანების შესახებ: ა) სისხლის სამართლის კომიტეტი;

ბ)საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტი; გ) არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომიტეტი.

- რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრის გოჩა გორდელაძის განცხადება კომიტეტის წევრობიდან გასვლის თაობაზე
- მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის თამარ ავალიანის წერილობითი მიმართვა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დატოვების თაობაზე.
- ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის პაატა კიკვიძის განცხადება თავმჯდომარის პოსტის დატოვების შესახებ და აღნიშნულ პოსტზე სესილი ქადარიას კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე.
- ირაკლი ჩომახაშვილის განცხადება ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრობიდან გასვლის თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს განცხადებები:

ა) ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტის მოწვეულ წევრად გაიოზ ჩარკვიანის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

ბ) ვალერიან დოლიძის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტის წევრად დამტკიცების შესახებ.

გ) რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრის გოჩა გორდელაძის წევრობიდან გასვლის შესახებ.

დ) ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის პაატა კიკვიძის თავმჯდომარის პოსტის დატოვების შესახებ.

ე) ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე სესილი ქადარიას კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

ვ) ირაკლი ჩომახაშვილის განცხადება ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრობიდან გასვლის შესახებ

მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის თამარ ავალიანის წერილობითი მიმართვა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის დატოვების თაობაზე არ განხილულა და გადაიდო შემდგომი სხდომისათვის.

საკითხი #15:

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატების თამთა აშორტიას და მალხაზ ჭანკოტაძის კანდიდატურების განხილვა გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

საკითხი #16:

ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საწევროგადაუხდელ წევრთა რაოდენობის თაობაზე და სთხოვა წევრებს კომუნიკაციის დამყარება მათთან საწევროს გადახდის შეხსენების მიზნით, რათა მათ არ შეწყვეტოდათ წევრობა. ასევე, მან სთხოვა საბჭოს წევრებს უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ასოციაციის დაინტერესებული წევრებისთვის, რაც შეიძლება მეტ რეპრესირებულ ადვოკატს მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს კომისია და აღიდგინოს უფლებები.

ადმასრულებელი საბჭოს წევრმა გიორგი თევზაძემ განაცხადა, რომ პრო ბონო სერვისების კომიტეტის მიერ შემუშავებული იყო საგრანტო პროექტი, რომელიც უნდა ყოფილიყო მიწოდებული დონორი ორგანიზაციებისთვის და მისთვის საინტერესო იყო ინფორმაცია, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიზნით. აღნიშნულზე ადმასრულებელმა მდივანმა განაცხადა, რომ საკითხი აქტუალურია და მიმდინარეობს მუშაობა. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში მოხდება ინფორმაციის გაცვლა.

ადმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე